

სითბოს აპუმულატორი

მერაბ ჭირაძაძე

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტურობის საინიციატივო ცენტრი**

მიღებულია 18.05.2018

გამოგონება ეხება თერმოტექნიკის სფეროს, კერძოდ თერმული ენერგიის შეგროვებასა და შენახვას.

ის შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სითბოს აპუმულიატორი, როდესაც სითბოს წყარო არასტაბილურია.

ხშირად უცნობია სითბოს რაოდენობა რომლის შენახვა და გამოყენება არის საჭირო. მაგალითად მზის გამატობლებში.

მზის გამატობელი ძირითადად ორი ნაწილისგან შედგება, კოლექტორისგან და რეზერვუარისგან. მზის მიერ კოლექტორში გამობარი წყალი რეზერვუარში გადაიცემა და შემდეგ მოიხმარება.

ცხადია რაც უფრო დიდია კოლექტორი, მით უფრო დიდი რეზერვუარია საჭირო. მაგრამ აქ ჩნდება პრობლემა, კერძოდ: ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მოცემული კოლექტორის მიერ მიღებული სითბური ენერგია სხვადასხვაა. იგი დამოკიდებულია მზის აქტივობაზე, რაც თავის მხრივ განპირობებულია ამინდით.

ამიტომ კოლექტორის მიერ მიღებული სითბოს რაოდენობა მერყეობს.

განსხვავება მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის შეიძლება 10 ჯერადი და მეტიც იყოს თუ რეზერვუარს გავიანგარიშებთ მინიმუმისთვის (ანუ მცირე მოცულობის რეზერვუარს ავირჩევთ), მაშინ ვკარგავთ შესაძლებლობას შევინახოთ სითბური ენერგია იმ შემთხვევაში როცა კოლექტორს მეტის მიღება შეუძლია.

თუ რეზერვუარს გავიანგარიშებთ მაქსიმუმისთვის, (ანუ დიდი მოცულობის ავზს ავირჩევთ), მაშინ, მინიმალური ენერგიის მიღების შემთხვევაში მასში წყალი სასურველ ტემპერატურამდე ვერ გათბება.


ჩვენი მიზანია მზის გამატობლის ისეთი რეზერვუარით აღჭურვა, რომელიც საშუალებას მოგვცემს კოლექტორიდან მინიმალური ენერგიის მიღებისას,

შევინახოთ მცირე, მაგრამ სასურველ ტემპერატურამდე გამობარი წყალი და იგივე მიმღების მიერ მაქსიმალური ენერგიის მიღების შემთხვევაში არ დაგვარგოთ მისი შენახვის საშუალება.


აღნიშნული მიზანი მიიღწევა ერთმანეთში მითავსებული ავზების საშუალებით, რომლებიც სხვადასხვა დიამეტრის კოაქსიალურ ცლინდრებს წარმოადგენ და ერთმანეთთან დაკავშირებული არიან შემდეგნაირად:

ყოველი შიდა ავზის ქვედა ნაწილი უკავშირდება მომდევნო გარეთა ავზის ზედა ნაწილს.


გამოგონებაში გამოყენებულია ბუნების კანონი, კერძოდ, სითხის გათბობისას მისი ხვედრით წონა მცირდება ცივთან შედარებით და ცდილობს ჭურჭელში დაიკავოს ზედა ნაწილი.



ფიგურა 1-ზე მოცემულია კოაქსიალური ცილინდრებით შედგენილი სითბოს აკუმულიატორის ჭრილი



ფიგურა 2. სითბოს აკუმულიატორი ჭრილი ზედხედში



ფიგურა 3. სითბოს აკუმულიატორი კოლექტორთან ერთად. სქემატური ნახატი

ფიგურა 1-ზე მოცემული ნახატის მიხედვით, კოლექტორიდან მიღიოთ (3) წამოსული თბილი წყალი გაივლის მიღს (1) და უერთდება (A) ავზს. სანაცვლოდ A ავზის ქვედა ნაწილიდან, წყალი გადადის B ავზის ზედა ნაწილში და ა.შ.

წყალი სურათზე მოცემული ლია არეების გზით გაივლის (A,B,C,D,E,F,) ავზებს და მიღებით (4), (5) ბრუნდება გამათბობელში, კოლექტორში.

თბილი წყალი ცდილობს დაიკავოს ავზის ზედა ფენა, ამიტომ A ავზიდან B ავზში მაშინ დაიწყებს თბილი წყალი გადასვლას, როდესაც A ავზი მთლიანად გათბება.

რაც უფრო მეტ სითბოს გადაცემს კოლექტორი, მით მეტი ავზი გათბება მიმდევრობით ცენტრიდან გარეთ.

თბილი წყლის მოხმარების დროს იღება მიღი (2) და იკეტება მიღი (3).

ამ შემთხვევაში წყალი (Z) რეზერვუარიდან მიღებით (6) და (4) მიეწოდება ავზს (F), ლია არეების გავლით გადადის ავზში (A), საიდანაც მიღებით (1) და (2) მიდის მოხმარებაზე.

აღსანიშნავია რომ, წყლის დონე ავზებში (A,B,C, D, E, F) თანაბარია, რადგან ავზების გერტიკალური გვერდები უკიდურესად ზედა წერტილში გახვრეტილია.

ამავე დროს ჰაერის ფენა განიცდის ისეთ წნევას, როგორსაც ქმნის (Z) რეზერვუარში და (A B C D E F) ავზებში არსებული წყლის დონეთა შორის სხვაობა.

ჰაერის ფენის სისქე დამოკიდებულია მიღი (1) ის დია ბოლოს დონეზე, რომელიც მოთავსებულია (A) აგზში.

ამრიგად (A,B,C,D,E,F) აგზების ერთობლიობა, რადგან მათში წყლის რაოდენობა მუდმივია, შეიძლება მივიჩნიოთ სითბოს აკუმულიატორად, ხოლო წყალი სითბოს მატარებლად.

რეზერვურის ფუნქციას ასრულებს (Z) აგზი.

ცნობილია რომ სითხეებში სითბოს გადაცემა ხდება სამი გზით: აორთლებით, სითბური გამოსხივებით და კონვექციით, ანუ სითხის ცირკულაციის გზით. ასეთი სითბოს აკუმულიატორის უპირატესობა ჩვეულებრივ აგზთან შედარებით აშკარაა.

სითბური გამოსხივების შემთხვევაში ჩვენს მიერ შემოთავაზებული მოდელი ბევრად უფრო ეფექტურია, რადგან ყოველი გარეთა აგზი იცავს მომდევნო შიდა აგზს სითბოს დაკარგვისგან.

კონვექციას თუ გავითვალისწინებთ, იმდენად უფრო ეფექტური იქნება ჩვენს მიერ წარმოდგენილი მოდელი, რამდენჯერ მეტი აგზისაგანაც შედგება იგი.

აღნიშნული სითბოს აკუმულიატორი გამოდგება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც არასტაბილურია ენერგიის წყარო.

ამავე დროს:

1. კომპაქტურია და შეიძლება იყოს, როგორც სტაციონალური, ასევე გადასატანი;

2. მისი მოცულობის და აგზების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, შესაძლებელია გამოყენებული იქნას შენობის შიდა ტემპერატურის სტაბილიზაციისათვის, კონტინენტური კლიმატის რეგიონებში, მაღალი ტემპერატურული გრადიენტის დროს.

3. შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც თვითდენად, ასევე იძულებით დენად სისტემებში.

ცილინდრების (აგზების) ვერტიკალური გვერდები არ მოითხოვს მაღალ სიმტკიცეს, რადგან მათზე ორივე მხრიდან თანაბარი დატვირთვა მოქმედებს.

ერთნაირ პირობებში ასეთი სითბოს აკუმულიატორი ბევრად უფრო დიდხანს შეინახავს სითბოს, ვიდრე იგივე ტევადობის ჩვეულებრივი ავზი, ხოლო მათი ფასი შეიძლება 1,5 ჯერ განსხვავდებოდეს.

პატენტი GE P 2013 5985 B

მერაბ ჭირაქაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტურობის საინიციატივო ცენტრი
ტელ: 599 98 98 32 E mail: m.ciraqadze@yahoo.com